

თბილისის სამედიცინო აკადემია ელექტრონული გაზეთი

თსა-ს და GIPA-ს ერთობლივი საგაზიანო პროგრამა

გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა



თბილისის
სამედიცინო
აკადემია



საქართველოს
საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი



- გახლი გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის გაზიანო
- მიიღე თსა-ს და GIPA-ს ერთობლივი ღირებულება

WWW.TMA.EDU.GE / WWW.GIPA.GE

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, გაგიზიაროთ თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) ელექტრონული გაზეთის რიგით მეოთხე გამოცემა.

ამ გამოცემაში გაეცნობით ინფორმაციას თსა-ში 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,
თსა-ს საზოგადებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

ამ გამოცემაში:

- განათლება და პარტნიორობები
- თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა
- სტუდენტური ცხოვრება
- ბლოგები და პოდკასტები

➤ თსა-ს და GIPA-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ერთობლივი პროექტია, რომლის ფარგლებშიც თსა - მედიცინაში და GIPA-საჯარო პოლიტიკაში, მსმენელს სწავლების სათანადო და უკონკურენტო სტანდარტს სთავაზობს.

ორი უნივერსიტეტის თანამშრომლობა აკადემიურ სივრცეში, ერთობლივი ძალისხმევით პირველი წარმატებული მაგალითია. პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლებით, პროგრამა განსხვავდება საქართველოში არსებული სხვა სამაგისტრო პროგრამებისგან.

პროგრამა ინგლისურენოვანია და მისი მიზნები, შედეგები და შინაარსი თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან. სწავლის დასრულების შემდეგ კი, კურსდამთავრებული მიიღებს ორმაგ დიპლომს.

თსა-ს და GIPA-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა



თბილისის
სამედიცინო
აკადემია



საქართველოს
საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი

- გახლი გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მაგისტრი
- მიიღე თსა-ს და GIPA-ს ერთობლივი დიპლომი



WWW.TMA.EDU.GE / WWW.GIPA.GE

განათლება და პარტნიორობები

ტრენინგები LIFESTRAND პროექტის ფარგლებში

Erasmus+ LIFESTRAND პროექტის ფარგლებში თბილისის სამედიცინო აკადემიის დელეგაცია საქართველოსა და უკრაინის რვა სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო ვიზიტით ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელასა (ესპანეთი) და ქალაქ პორტოში (პორტუგალია) იმყოფებოდა. კონსორციუმის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში, რომელიც ეხებოდა პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარების განვითარებას.

პროექტი LIFESTRAND მიზნად ისახავს უკრაინისა და საქართველოს უნივერსიტეტების პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის პირველადი დახმარების უნარების სწავლებას და ამ მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას. ასევე, პოტენციურად მაღალი მილიტარისტული რისკის ზონებში მაცხოვრებელი მოწყვლადი მოსახლეობისთვის, რომელიც რუსეთის ოკუპაციისა და სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალდა, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების სწავლებას.

Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - „LIFESTRAND“, შეიქმნა, დაიგეგმა და ხორციელდება უშუალოდ თსა-ს კოორდინირებით. პროექტი აერთიანებს საქართველოს, უკრაინის, ესპანეთისა და პორტუგალიის 9 უნივერსიტეტს.



პროექტი LIFESTRAND

თსა-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა ჟენევაში სამუშაო შეხვედრა გამართა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) საგანგებო სიტუაციებისთვის ქვეყნის მზადყოფნის გაძლიერების განყოფილების დირექტორთან, პროფესორ ნედრეთ ემროლლუსთან.

პროფესორმა ნედრეთ ემროლლუმ დადებითად შეაფასა Erasmus+ Lifestrand-ის ინიციატივა და გამოხატა სამომავლო თანამშრომლობის ინტერესი როგორც თსა-სთან, ასევე კონსორციუმის მონაწილე სხვა უნივერსიტეტებთან.

გარდა ამისა, პროფესორი მარიამ ჯაში პროექტს წარუდგინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ოფისს და უზრუნველყოფს ერთობლივ შეხვედრას, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნება როგორც სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები Erasmus+ Lifestrand-ის პროექტსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შორის, ასევე, ახალი გაიდლაინების შემუშავებისა და ანალოგიური ინიციატივის განხორციელების პოტენციალი სხვა ქვეყნებსა და რეგიონებში.



ERASMUS+ პროექტი SAFEMED+

ERASMUS+ პროექტის, SAFEMED+-ის კიდევ ერთი წარმატება საერთაშორისო სამედიცინო განათლებისთვის!

კატანიის უნივერსიტეტში პროექტის SAFEMED+ - „სიმულაცია დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში პაციენტის მოვლის უსაფრთხოებისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად“ შედეგების დისემინაცია გაიმართა.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ კონსორციუმში შემავალი ქვეყნების უნივერსიტეტების წარმომადგენლები, მათ შორის, თბილისის სამედიცინო აკადემიის ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით და ამავდროულად პროექტის კოორდინატორი ია ავალიანი.

<https://www.unictmagazine.unict.it/safemed-un-successo- educazione-medica-internazionale>

განათლება და პარტნიორობები

მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2023 (MEDIC 2023)


თსა-ს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2023 (MEDIC 2023)".

ლონისძიება იყო აკრედიტებული EACCME®-ის მიერ. MEDIC 2023 მიზნად ისახავდა მედიცინის და ჯანდაცვის აქტუალური საკითხების განხილვას, ასევე, ინოვაციური და ინტერდისციპლინური კვლევების და მათი შედეგების წარდგენას და ინტერაქტიური აქტივობების განხორციელებას. ლონისძიების განხორციელებისას ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა მეცნიერებისა და სტუდენტების კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე მიმართულ აქტივობებს.

თსა-ს ამ ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა კონფერენციები შემდეგ თემებზე:

- „ტვინის დაბერება“ - პროფესორი ოსვალდას რუკსენასი (ვილნიუსის უნივერსიტეტი)
- „ანტიბიოტიკორეზისტენტობა და ბაქტერიოფაგური თერაპია“ - პროფესორი მლადენ კრაჯაჩიჩი (ზაგრების უნივერსიტეტი)
- „მინიშნებები და რჩევები, რომ გახდეს ეფექტიანი ხელმძღვანელი“ - პროფესორი მელიტა კოვაჩევიჩი (ზაგრების უნივერსიტეტი)
- „ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედების გამოყენება იშვიათი გენეტიკური დაავადებების მექანიზმების შესასწავლად“ - პროფესორი სილვია ალბერტი (რადბაუდის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის დოქტორი)
- „ადამიანის ნეიტროფილური ლიპოკალინი“ - ირაკლი ხუნწარია (თსა-ს სტუდენტი)

ასევე, ჩატარდა მაკათონი - "კვლევის ჰიპოთეზა".



Erasmus+ SAFEMED+-ის პროექტის დახურვა

თბილისის სამედიცინო აკადემიაში Erasmus+ SAFEMED+-ის პროექტის დახურვის ცერემონია გაიმართა.

დასკვნით ღონისძიებაზე დასასწრებად თბილისის კონსორციუმის მონაწილე უნივერსიტეტების დელეგაციები უკრაინიდან, სომხეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან და ლიეტუვიდან ეწვივნენ. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ Erasmus-ის ეროვნული ოფისების (NEO) წარმომადგენლები უკრაინიდან და სომხეთიდან, რომლებიც დისტანციურად მიესალმნენ აუდიტორიას.

პროექტი SAFEMED+ „სიმულაცია დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში პაციენტის მოვლის უსაფრთხოებისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად“ სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და გულისხმობდა სამედიცინო განათლებაში ინოვაციების დანერგვას, გამოცდილების გაზიარებას და თანამედროვე მიდგომით კლინიკური ხაზის გაძლიერებას.

პროექტი შეიქმნა, დაიგეგმა და განხორციელდა უშუალოდ თსა-ს თაოსნობით, რომელმაც გააერთიანა კონსორციუმი, სადაც თავმოყრილი იყო ცხრა უნივერსიტეტი საქართველოდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და ლიეტუვიდან.



AMEE-ს ყოველწლიური კონფერენცია

მსოფლიოს სამედიცინო სკოლების კალენდარში ყველაზე დიდი მოვლენა ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) ყოველწლიური კონფერენციაა.

გლაზგოში მიმდინარე კონფერენციის პარალელურად, მიმდინარეობდა ჯანდაცვის პროფესიებში ფაკულტეტის განვითარების მე-7 საერთაშორისო კონფერენციაც. თსა ორივე ღონისძიების მონაწილე იყო.


აკადემიის წარმომადგენლებს წარდგენილი ჰქონდათ ზეპირი პრეზენტაციები და ელექტრონული პოსტერები. ზეპირი მოხსენებები წარადგინეს ნინო სიხარულიძემ და მაკა ბარნაძემ. ხოლო, ელექტრონული პოსტერი წარადგინა კახა ბრეგვაძემ.

განათლება და პარტნიორობები

კონფერენცია "საქართველოსმცოდნეობის დღე"

ლონდონში, უესტმინსტერის უნივერსიტეტში საქართველოსადმი მიძღვნილი ყოველწლიური კონფერენცია: "საქართველოსმცოდნეობის დღე" გაიმართა. წლევანდელი კონფერენცია მიეძღვნა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველ პროფესიონალ ქალებს.

მედიცინაზე სასაუბროდ ღონისძიებაზე მიწვეული იყო თბილისის, სამედიცინო აკადემიის მედიცინის სკოლის დეკანი პროფესორი ლალი მეკოკიშვილი. იგი დისტანციურად დაესწრო კონფერენციას და ისაუბრა გამორჩეულ ქართველ ექიმ ქალებზე, სამედიცინო განათლებაზე, უმაღლეს სამედიცინო განათლებაში მიმდინარე საინტერესო ცვლილებებზე თსა-ს მაგალითზე, ისაუბრა პოსტდოქტორულ განათლებაზე და საკუთარ პროფესიულ გზაზე.



მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე

თსა-ს ვიცე-რექტორი კვლევის მიმართულებით, ეკატერინე კლდიაშვილი, მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა.

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის წარმატებული მეცნიერი ქალები დაჯილდოვდნენ.



დერმატოლოგთა XIV საერთაშორისო კონგრესი

თსა-ს მედიცინის სკოლის დეკანი, პროფესორი ლალი მეკოკიშვილი, დერმატოლოგთა XIV საერთაშორისო კონგრესზე ევროპის ამბასადორად აირჩიეს. კონგრესი 2025 წლის ივნისში გაიმართება.

Ambassador Project / Europe

← Back to continents



Josep Malveyh Spain

View Bio



Lally Mekokishvili Georgia

View Bio



Susana Puig Spain

View Bio

დასაქმების ფორუმი 2023

თბილისის სამედიცინო აკადემიამ დასაქმების ფორუმს უმასპინძლა. ფორუმზე წარმოდგენილი იყო სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი ათამდე წამყვანი კომპანია, რომლებმაც თსა-ს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შესთავაზეს ვაკანსიები სხვადასხვა პოზიციაზე.

თსა-ს მიერ ორგანიზებული დასაქმების ფორუმი მიზნად ისახავდა სტუდენტებისა და ორგანიზაციების შეხვედრას, მიმდინარე ვაკანსიებისა თუ სტაჟირებების გაცნობას და კარიერული ზრდის ხელშეწყობას.

დასაქმების ფორუმი 2023



განათლება და პარტნიორობები

პროფესორ ნელე მიჩელის ვიზიტი თსა-ში

თბილისის სამედიცინო აკადემიას სტუმრობდა ანტვერპენის უნივერსიტეტის პროფესორი, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი ნელე მიჩელი, რომელმაც ჩაატარა შეხვედრები და ტრენინგები კურიკულუმის განვითარებისა და სამედიცინო განათლებაში შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ.

საგანმანათლებლო ღონისძიება

როგორ გავუზარდოთ სტუდენტებს მოტივაცია დამოუკიდებელი სწავლისათვის? - სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში არსებული სიახლეებისა და საკუთარი გამოცდილების გაზიარების მიზნით თსა-ში ინტერაქციული შეხვედრა ჩატარდა.

შეხვედრაზე განიხილეს სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) გზამკვლევები და ჟურნალ "Medical Teacher"-ში გამოქვეყნებული უახლესი კვლევები სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით.

მლადენ კრაჯაჩიჩის ვიზიტი თსა-ში

თსა-მ საერთაშორისოდ აღიარებულ ექსპერტს, პროფესორ მლადენ კრაჯაჩიჩს უმასპინძლა.

მიკრობიოლოგიის ექსპერტი აკადემიის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ორ დღიანი ტრენინგის ფარგლებში ვრცლად ესაუბრა ვირუსებისა და ბაქტერიების შესახებ. ასევე, განიხილა თუ როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ვირუსები, ბაქტერიები, მათი სტრუქტურული ელემენტები და ფერმენტები, როგორც ფიჭური/მოლეკულური იარაღები ბიოტექნოლოგიასა და მოლეკულურ მედიცინაში.

სემინარი "გამოცდილების გაზიარება"

ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა მალააკელიძე და სტუდენტი რიშუ შაჰი მიწვეულნი იყვნენ ბაიროითის უნივერსიტეტში (გერმანია) სემინარზე სახელწოდებით „გამოცდილების გაზიარება“. მომხსენებლებმა ისაუბრეს მათი გამოცდილების შესახებ. ასევე, განიხილეს თსა-ს მიერ განხორციელებული აქტივობები და ინიციატივები პლანეტარული ჯანმრთელობის მიმართულებით. მათ საუბრისას ხაზი გაუსვეს იმ სამეცნიერო უნარებს, რომელიც აუცილებელია მათთვის, ვისაც სურთ სამომავლოდ იმუშაონ პლანეტარული ჯანმრთელობის საკითხებზე.

ინსულინი: მეცნიერების და ტექნოლოგიების კომბინაცია

პროექტის „InTech4MED: ინოვაცია და ტექნოლოგია მედიცინაში“ ფარგლებში ჩატარდა ჰიბრიდული ღონისძიება „ინსულინი: მეცნიერების და ტექნოლოგიების კომბინაცია“, რომელიც მიზნად ისახავდა ამ სამეცნიერო მიღწევის დეტალების და კლინიკური სიმულაციური ქეისის განხილვას.

თსა-ს ახალი ლექტორებისთვის საორიენტაციო შეხვედრები გაიმართა

თსა-ში ახალი ლექტორებისთვის საორიენტაციო შეხვედრები გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: შესავალი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, პრეზენტაციის ორგანიზების ძირითადი პრინციპები. შეხვედრის ფარგლებში ახალი ლექტორები გაეცნენ აკადემიის ისტორიას, მისიას, სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს, საგანმანათლებლო პროგრამას, საბიბლიოთეკო რესურსებს და მართვის ელექტრონულ სისტემას.

ESPCAL - სალმონელა ფაგების ინკაფსულირება კათიონურ ლიპოსომებში

პათოგენური ბაქტერიების წინააღმდეგ აქტივობებში მონაწილეობის მიზნით, თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ შემუშავდა პროექტი "ESPCAL - სალმონელა ფაგების ინკაფსულაცია კათიონურ ლიპოსომებში".

პროექტი გულისხმობს ანტიბაქტერიული მიდგომების გაუმჯობესებისა და ჩანაცვლებისთვის ფაგოთერაპიის - ბაქტერიული ვირუსების (ბაქტერიოფაგების) გამოყენებას. პროექტი დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების 2023 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსში.

თსა-ს სამეცნიერო კლუბი: უახლესი სამედიცინო მიღწევები

თსა-ს სამეცნიერო კლუბმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან კოლაბორაციაში სტუდენტური მოხსენებები წარმოადგინა.

საკითხის "უახლესი სამედიცინო მიღწევები" გარშემო სტუდენტებმა განიხილეს ახალი კვლევები და თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მედიცინის მომავალი.

მომხსენებლები: ანა გაბრიჩიძე, ანა გოგოლაძე, ანა ქათამაძე, ანა ყვავაძე, ეკატერინა არტეაგა, ელენე მაღალაძე, გიორგი ბუღაძე, ხატია დევაძე, ქეთევან ვეფხვაძე, ლელა ყორიაული, ლიროი მუსიარირა, მარიამ ნიკლაური, მოე გოტო, ნატალი კილაძე, რიშუ შაჰ, შაიმა აკლოდამი და სოსო ობოლაშვილი.



სოციალური პასუხისმგებლობა

სოფლის ექიმის ექვსი დღე

„სხვანაირი შემართება აქვთ. არ უშინდებიან არც წვიმას, არც თოვლს, რადგან ზუსტად იციან, რომ გრძელი გზის ბოლოს პაციენტის ერთადერთ იმედი არიან, დაღალატება კი გამორიცხებულია...“ – საბა ზაქრაძე, თბილისის სამედიცინო აკადემიის მეორე კურსი სტუდენტი, ფოტოპროექტის მონაწილე. სოფლის ექიმის 6 დღე – ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც თსა უკვე მეორე წელია ახორციელებს. აღნიშნული პროექტი, პირველად 2022 წელს მაღალმთიან აჭარაში განხორციელდა. 2023 წელს კი, პროექტი გურიის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ ექიმებზე გვიყვება ამბავს.



“სოფლის ექიმის 6 დღე”

თბილისის სამედიცინო აკადემიის ექვსმა სტუდენტმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში იმოგზაურეს და იქ მომუშავე ექიმების ყოველდღიურობა ფირზე აღბეჭდეს.

Guria News / Sep 15, 2023

შენი სიცოცხლე შენს ხელშია

ოქტომბერი ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების თვეა. კამპანიამ სახელწოდებით „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ პირველ ოქტომბერს აიღო სტარტი და მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

კამპანიის პირველი ღონისძიება სლოგანით, „ჩაიტარე სკრინინგი და იყავი დაცული“ გაიმართა. თსა-ს სტუდენტებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებმა, ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველოსთან“ და რიგით მოქალაქეებთან ერთად ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს. ღონისძიება სიმბოლურად ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას და პაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვას ემსახურება.



რეფლექსიური სესია

ძუძუს კიბო განაჩენი არ არის! რა უნდა ვიცოდეთ ამ დაავადების შესახებ და როგორ უნდა მოვახდინოთ მისი პრევენცია? არის თუ არა მამოგრაფია ძუძუს დაავადებათა კვლევის ერთადერთი მეთოდი? როგორია ძუძუს კიბოსა და მისი სკრინინგის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების დონე? ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად თსა-მ რეფლექსიურ სესიას უმასპინძლა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თსა-ს სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე თსა-ს პარტნიორი ორგანიზაციების ევროპა დონა საქართველოსა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლები.



ვარდისფერი მარათონი

თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტებმა ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან, „ევროპა დონა საქართველოს“ ბენეფიციარებთან და რიგით მოქალაქეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს „ვარდისფერ მარათონში“.

“ეს დღე მნიშვნელოვანია მედიცინის თითოეული სტუდენტისთვის. აუცილებელია, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწვდინოთ ხმა, რომ კიბოს დამარცხება შესაძლებელია, მითუმეტეს 21-ე საუკუნეში. ძუძუს კიბო განაჩენი არ არის! მსგავსი ღონისძიებები გვეხმარება ცნობიერების ამაღლებაში და პროფესიული ცოდნის გაღრმავებაში” - აღნიშნა თსა-ს პირველი კურსის სტუდენტმა, ლიკა ტიტვინიძემ.



თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

თსა-ს კამპანია GO GREEN

რა შეუძლია გააკეთოს სამედიცინო უნივერსიტეტმა, იმისათვის, რომ გახდეს უფრო მწვანე პოლიტიკის გამტარებელი და უპასუხოს კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების გლობალურ გამოწვევას?

სწორედ ამას ეხმიანება თსა-ს კამპანია GO GREEN, რომლის ფარგლებშიც თსა-ს ეკო კლუბმა დააგემა ადვოკატირების სხვადასხვა აქტივობა და რომელიც მოიცავს როგორც ეკოლოგიური საკითხების გარშემო ინფორმაციის გაზიარებას საერთაშორისო ექსპერტებთან და კლინიკისტებთან, ასევე პაციენტებთან მჭიდრო დიალოგს. ადვოკატირების კამპანია ასევე მოიცავს ვეგანური და ვეგეტარიანული საკვების პოპულარიზაციასაც.

GO GREEN კამპანიის ფარგლებში თსა-ში მრგვალი მაგიდის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპირაციული პაციენტები, პულმონოლოგი, თსა-ს პარტნიორი ორგანიზაცია Vegan Georgia-ს წარმომადგენლები და გლობალური ახალგაზრდული სტრატეგიის (GYS) პრეზიდენტი და თანადამფუძნებელი ელვის დნიკუმ აჩირი.



კამპანია GO GREEN გრძელდება

პატარა ნაბიჯებით დიდი ცვლილებებისკენ! ერთად ვიზრუნოთ პაციენტებისა და პლანეტის ჯანმრთელობაზე! ამ სლოგანის ირგვლივ გაერთიანდნენ თსა-ს ეკო კლუბის წევრები და ამერიკელ თანატოლთან ჯენიფერ იოსპასთან ერთად ვორქშოპი გამართეს.

ვორქშოპი ეკოლოგიურ საკითხებს და პლანეტარულ ჯანმრთელობას მიეძღვნა. სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და შეაჯამეს თსა-ს მიერ კამპანიის ფარგლებში უკვე განხორციელებული აქტივობები.



ვეგანების მსოფლიო დღე

თბილისის სამედიცინო აკადემიაში, თსა-ს ეკო კლუბის ორგანიზებით ღონისძიება გაიმართა, რომელიც ვეგანების მსოფლიო დღეს მიეძღვნა. ღონისძიების ფარგლებში თსა-ს სტუდენტებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს პლანეტარული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი კვების აუცილებლობაზე.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია "Vegan Georgia"-ს წარმომადგენლები. მათ ორგანიზაცია "Plant Based Treaty" - თან კოლაბორაციით წარმოადგინეს პრეზენტაცია, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტებს გააცნეს მცენარეული მენიუს სარგებლიანობის სხვადასხვა ასპექტი, ისაუბრეს ვეგანიზმის მნიშვნელობაზე და ინიციატივაზე, თუ რატომ უნდა მოხდეს უნივერსიტეტის მენიუების ვეგანიზაცია, როგორი პრაქტიკული ნაბიჯებით არის შესაძლებელი ამის განხორციელება და რა ფორმით შეუძლიათ ჩაერთონ სტუდენტებს ამ პროცესში, ვინაიდან მათი ჩართულობა ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია.



პროექტი "გიყვარდეს ბუნება"

თსა-ს სტუდენტური კლუბის "საზოგადოების დამხმარეების" ორგანიზებით სტუდენტებმა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

პროექტის "გიყვარდეს ბუნება" მიზანი იყო, რომ დაესუფთავებინათ გარემო და ამით ხაზი გაესვათ მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობისთვის. კლუბის ხელმძღვანელია ანანო ახობაძე, რომელიც ამავდროულად ამერიკულ საბჭოში წარმოადგენს თბილისის სამედიცინო აკადემიას საერთაშორისო მიმართულებით.

ანანომ პროექტის "გიყვარდეს ბუნება" განსახორციელებლად ამერიკის განათლებისა და კულტურის საკითხთა სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროდან მიიღო დაფინანსება.



თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

ბიოეთიკის მსოფლიო დღე თსა-ში

„მომავალი თაობების დაცვა“ - სწორედ ამავე სათაურით გამოაცხადა თსა-მ სტუდენტური კონკური, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი ნამუშევრები გადმოეცათ ხელოვნების სხვადასხვა მედიუმის საშუალებით, როგორც იყო მხატვრობა და პოეზია. ნაწილმა კი, სამეცნიერო პოსტერებით გადმოსცა საკუთარი სათქმელი.

საკითხები, რომლებიც სტუდენტებმა საკუთარ ნამუშევრებში წინ წამოწიეს ეხებოდა კლიმატის ცვლილებას და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, ჯანდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოტენციალს და ასევე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ დამაფიქრებელ მხარეს ბიოეთიკის ჭრილში. ექიმ-პაციენტის ურთიერთობას, ინდივიდის როლს და პასუხისმგებლობას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. იმის გააზრებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის მსოფლიოში იყოს სუფთა ჰაერი, წყალი და ბიომრავალფეროვნება.



როგორ მივუდგეთ ალცჰაიმერის მქონე პაციენტებს?

როგორ მივუდგეთ ალცჰაიმერის მქონე პაციენტებს და რა შეცდომებს ვუშვებთ მათთან ურთიერთობისას? თბილისის სამედიცინო აკადემიის ორგანიზებითა და საქართველოს ალცჰაიმერის ასოციაციის მხარდაჭერით თსა-ში ვორქშოპი გაიმართა. ღონისძიებას უძღვებოდნენ თსა-ს სტუდენტი ხატია დევაძე და ალცჰაიმერის ასოციაციის წარმომადგენელი მარიამ ალავეცი. ღონისძიების ფარგლებში ალცჰაიმერის მქონე პაციენტებთან მიდგომის სხვადასხვა მეთოდი განიხილეს. ვორქშოპზე დამსწრე აუდიტორიამ მონაწილეობა მიიღო გონების გასავარჯიშებელ სხვადასხვა თამაშში.



ხელოვნების თერაპია

„ხელოვნების თერაპია“ ის თემატიკაა, რომელიც ნებისმიერი ასაკის ადამიანზეა გათვლილი და პროექტის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს ნახატებში გადმოიტანონ ის ემოციები, რასაც გრძობენ: შიში, სტრესი, სევდა თუ სიხარული. პროექტის მიზანია ხელოვნებისა და მედიცინის კავშირის წარმოჩენა.

კლუბის „საზოგადოების დამხმარეების“ ხელმძღვანელმა ანანო ახოზაძემ, რომელიც ამავდროულად Flex-ის პროგრამის კურსდამთავრებულია, პროექტის „ხელოვნების თერაპიის“ განსახორციელებლად მოიპოვა გრანტი ადგილობრივი ამერიკული საბჭოების ოფისიდან, რომელიც ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიდან.



თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

თსა-ს სტუდენტები მოხუცთა სახლებში

“შვილო, ჩვენ ვართ წარსული, თქვენ კი მომავალი. მართალია, ჩვენ ცხოვრების რაღაც მომენტში გადავიკვეთეთ, თუმცა, იმას, რასაც თქვენ მომავალში ნახავთ, ჩვენ ვეღარ მოვესწრებით, ხოლო რაც ჩვენ უკვე გავიარეთ და ვნახეთ, მაგის ნახვას თქვენ ვერ შეძლებთ, ამიტომ ხშირად მოდით, მოვუყვით ერთმანეთს ამბები” - გვითხრა მოხუცთა სახლში მცხოვრებმა 85 წლის გიორგი ბაბუამ. თსა-ს სტუდენტები თბილისსა და რუსთაველი მდებარე მოხუცთა სახლებს სტუმრობდნენ. მათ მოხუცებს საახალწლო საჩუქრები და მათთვის საჭირო ინვენტარი გადასცეს.



სისხლის უანგარო დონაცია

კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობით თსა-ში სტუდენტებისა და თსა-ს პერსონალ ჩართულობით მორიგი სოციალური აქტივობა, სისხლის უანგარო დონაციის კამპანია გაიმართა. მნიშვნელოვანია, რომ თსა მესამე მისიის, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, სტუდენტებისა და თანამშრომლების ჩართულობით არაერთ აქტივობას ახორციელებს. მსგავსი პროექტები მიზნად ისახავს სტუდენტებში სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას და ამავდროულად, საქართველოს საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას.



თსა-ს სტუდენტები “ბაბალებში”

თსა-ს სტუდენტები სოციალურ სანარმო „ბაბალებს“ ესტუმრნენ და მოზარდებთან ერთად მონაწილეობა არტ თერაპიაში მიიღეს. თსა სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში არაერთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, მათ შორის ერთ-ერთია დღის ცენტრი „ბაბალები“, რომელთან ერთადაც სხვადასხვა ღონისძიება უკვე განხორციელდა. ამ ეტაპზე თსა-ს სტუდენტები ყოველკვირეულად სტუმრობენ „ბაბალებს“ და მათ ახალგაზრდებთან ერთად სხვადასხვა აქტივობაში არიან ჩართულნი.



პროექტი ცხოველებისთვის

თსა-ში არასამთავრობო ორგანიზაცია “Animal Project”-ის თანადამფუძნებელი ნინო ჩლაიძე გვესტუმრა, რომელიც სტუდენტებს ოთხფეხა მეგობრებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე ესაუბრა.

- ცხოველთა თავშესაფრები და მათთან დაკავშირებული "მითი თუ რეალობა"
- ქუჩის ძაღლებთან ქცევის წესები
- როგორ მოვიქცეთ, თუ აგრესიული ძაღლის პირისპირ აღმოვჩნდით
- როგორ დავამეგობროთ ჩვენი ძაღლი ქუჩის ძაღლებს

თბილისის სავეთოსინო უნივერსიტეტი

“ქუჩის ძაღლების პრობლემა საქართველოში და მისი გულაყრის გზები”

ნინო ჩლაიძე

სტუდენტური ცხოვრება

ვებზღაღებით ISCOMS-ისთვის

თსა-ს სტუდენტებმა ელენე ლილუაშვილმა და ელენე ლიპარტიამ, რომლებიც საერთაშორისო სტუდენტური (ბიო)სამედიცინო კონგრესის (ISCOMS) ამბასადორები არიან, თანატოლებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მიზანი იყო გაეზიარებინათ ინფორმაცია ISCOMS-ის შესახებ. კერძოდ, რა არის ISCOMS? ვის და როგორ შეუძლია ამ საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობის მიღება და როგორ უნდა მოვემზადოთ ISCOMS 2024-სთვის.



Dandy-ის კონსტიტუცია

თსა-ს მედიცინის სკოლის დეკანმა, პროფესორმა ლალი მეკოკიშვილმა და დენდი თსა-ს ლოკალური კლუბის სენატორმა ტონი ვაგრჰესემ ხელი მოაწერეს დენდის კონსტიტუციას. დენდის მიზანია საქართველოს მასშტაბით შექმნას აკადემიური გარემო ნეიროქირურგებს, ნევროლოგებს, რეზიდენტებსა და მედიცინის სტუდენტებს შორის. ამ მიზნების მისაღწევად კლუბის ორგანიზებით არაერთი წარმატებული ღონისძიება ჩატარდა.




გაცვლითი პროგრამები

თსა-ს კიდევ 31 სტუდენტი გაემგზავრა გაცვლითი პროგრამით თურქეთში. ბილატერალური გაცვლითი პროგრამით, სტუდენტები სტაჟირებას ათათურქის უნივერსიტეტისა (ერზურუმი) და რეჯაფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის (რიზე) კვლევით კლინიკებში გაივლიან. სტაჟირების 3 კვირა სტუდენტებმა შემდეგ დეპარტამენტებში გაატარეს: მეან-გინეკოლოგია; სასწრაფო გადაუდებელი მედიცინა; პედიატრია; შინაგანი მედიცინა; ზოგადი ქირურგია; კარდიოლოგია.



Dandy-ის სტუდენტური კონფერენცია

თსა-მ Dandy-ის სტუდენტური კლუბის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას უმასპინძლა. ღონისძიება სახელწოდებით 'StrIAT' 24 საქართველოში მოქმედი საერთაშორისო მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (GIMSOC) მხარდაჭერით გაიმართა. „ინსულტის იდენტიფიკაციისა და მკურნალობის გზები“.



რა? სად? როდის?

18 ოქტომბერი მსოფლიო აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის საერთაშორისო დღეა. მის აღსანიშნავად თბილისის სამედიცინო აკადემიაში ჩატარდა თემატური ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?" და მოეწყო მხატვრული ფილმის "სიტყვები" განხილვა.



საორიენტაციო კვირეული საერთაშორისო სტუდენტებისთვის

თსა-ს საერთაშორისო სტუდენტებისათვის საორიენტაციო კვირეული ჩატარდა. პირველკურსელები გაეცნენ აკადემიის მისიას, მიზნებს, სასწავლო პროგრამებს, საბიბლიოთეკო რესურსებს, ინსტიტუციურ კულტურას და სტუდენტურ აკადემიას.

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება

თსა-ს 2024 წლის საერთაშორისო კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მათ მიენიჭათ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია. ვულოცავთ ჩვენს კურსდამთავრებულებს და ვუსურვებთ წარმატებას კარიერული განვითარების გზაზე!



ბლოგები და პოდკასტები

წაკითხე აქ:



ველაზე ფერადი სტაჟირების დღეები / The most colorful internship days

თაკო დანდურიშვილი / Tako Dandurishvili თსა-ს სტუდენტი, V სემესტრი / TMA Student, V semester ვველაზე ფერადი სტაჟირების დღეები არსაფროს...

blogspot.com

წაკითხე აქ:



ISCOMS დღეები / ISCOMS Days

ელენე ლილუაშვილი, თსა-ს სტუდენტი / Elene Liliashvili, TMA Student ISCOMS დღეები ჩემი ზუთ დღისი დაფინანსარი თავდადასავალი ISCOMS-ის კონგრესს...

blogspot.com

წაკითხე აქ:



ჩემი სამედიცინო თავდადასავალი / My Medical Adventure

ლევან ბახტაძე / Levan Bakhtadze თსა-ს სტუდენტი / TMA Student ჩემი სამედიცინო თავდადასავალი ზაფხულის არდღეების გატარების პერიოდის კონკ...

blogspot.com

წაკითხე აქ:



მედიცინის სინთეზი / Synthesis of Medicine

თაკო კობულაშვილი / Tako Kobulashvili თსა-ს სტუდენტი / TMA Student მედიცინის სინთეზი ზე ვარ სამარ კობულაშვილი, ზეკრე შიშასის სინთეზის ანბლ...

blogspot.com

მოუსმინე:

Tbilisi Medical Academy

გიორგი ამირიძე - USMLE გამოცდილება / Geo

გიორგი ამირიძე
GIORGI AMIRIDZE
თსა-ს სტუდენტი
TMA STUDENT

USMLE

10:54

Privacy policy

მოუსმინე:

Tbilisi Medical Academy

ჯენიფერ იოსპა - Internship at TMA / სტ...

ჯენიფერ იოსპა
JENNIFER IOSPA
WILLIAMS COLLEGE (U.S.A)

12:22

Privacy policy

მოუსმინე:

Tbilisi Medical Academy

პროექტი ნერტილ-მისიე ; Geo ხატია ხატიაშვილი

პროექტი ნერტილ-მისიე
ლიხუხია კახიანი

PROJECT SEMICOLON
DISCUSSION WITH ALUMNI

14:12

Privacy policy

მოუსმინე:

Tbilisi Medical Academy

Alumni podcasts - Davit Djanlashvili

საბიოქიმია და ბიოქიმია
მანქანის მართვის მანქანა

14:31

Privacy policy

